საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე № 0

ID 581999003

გადამხდელის დასახელება	**შპს თბილსანტექმონტაჟი**	თანხა ციფრებით **15000.00 GEL** თანხა სიტყვებით **თხუთმეტიათასი ლარი 00 თეთრი**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი	**201943530**	
ანგარიშის ნომერი	**GE35PC0133600100057217**	
გადამხდელის ბანკის დასახელება	**სს "პროკრედიტ ბანკი"** კოდი **MIBGGE22**	
სახელმწიფო ხაზინაში გადახდა - ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა		სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო) ☐ სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 10:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე
დასახელება	**შპს თბილსანტექმონტაჟი**	
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი	**201943530**	
მიმღების დასახელება	**სხვა შემოსულობები/თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტი**	**ბანკის აღნიშვნები** ბანკში შემოსვლის თარიღი 19.06.2023 12:17
ანგარიში / სახაზინო კოდი	**300773263**	
მიმღების ბანკის დასახელება	**საქ.ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური** მიმღების ბანკის კოდი **TRESGE22**	
გადახდის დანიშნულება	**შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო**	ხელმოწერა - - - - - - - - - - - - - -
დამატებითი ინფორმაცია	**დადგენილება #001623, საამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე**	
ხელმოწერები -	ბეჭდის ადგილი თარიღი 19.06.2023	ინტერნეტ ბანკი პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank Georgia INTERNET BANK

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/დს52-23

"14" 06 2023 წ.

დადგენილება №001623
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

14.06.2023წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა, განვიხილე 2023 წლის 13 ივნისის №001623 შემოწმების აქტი შედგენილი, **შპს „თბილსანტექმონტაჟი"-ს** (ს/ნ №201943530; მის: თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით ბაქრაძის ქ. №6) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №53, №01.13.03.010.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, **შპს „თბილსანტექმონტაჟი"-ს** მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5223966 15.12.2020წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების მასალა. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი და ფართი. ნაწილობრივ შეცვლილია კედლების მოპირკეთება. დამატებით მოწყობილია წყალსაწრეტი მილები და კონდიციონერები. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების განივი კვეთი და მდებარეობა. დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები და კოლონები. ნაწილობრივ შეცვლილია კედლების მდებარეობა, რის გამოც შეცვლილია სართულების გაბარიტი და ფართი. შემცირებულია ლიფტის კაბინის გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია სართულების სიმაღლე. შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. +3.00 ნიშნულთან დამატებით მოწყობილია ფილა, რის გამოც დამატებით მოწყობილია სართული. სველი წერტილების ფართებში კარებს მონაცვლებული აქვს ადგილი. სახანძრო სისტემები არ არის სრულად მოწყობილი. დასამთავრებელია სადარბაზოს და დერეფნების მოწყობა. „ლ-ა" ფასადზე: დამატებით მოწყობილია ფანჯრები. +0.00 ნიშნულზე „გ-გ" ღერძის მარჯვენა მხარეს ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარი და გაზრდილია კიბის გაბარიტი. „ბ-ა" მონაკვეთში შეცვლილია კარის ტიპი და გაზრდილია მისი გაბარიტი. „ი-თ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბე და კარი. +6.50 ნიშნულიდან ზემოთ „გ-გ" ღერძის მარჯვენა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მხარეს კედლის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „ა-ლ” ფასადზე: +0.00 ნიშნულზე „დ-ზ” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სამშენებლო კარი. +13.10 ნიშნულზე „7-7” ღერძის გარეთ „გ-ე” მონაკვეთში შენობის გარე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი „7-7” ღერძისკენ და გაუქმებულია ტექნიკური აივნის კედელი, რის გამოც შემცირებულია საოფისე ფართი და მოწყობილია აივანი. მონოლითურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის კოლონები. +6.90 ნიშნულიდან +16.20 ნიშნულამდე „1-1” და „ი-ი” ღერძებთან დამატებით მოწყობილია კედლები, რის გამოც საზაფხულო ფართი მოწყობილია საოფისე ფართად. ტერიტორია კეთილმოუწყობელია. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი ავტოფარეხები.

2023 წლის 13 ივნისს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001623 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის 2023 წლის 24 აპრილის №10/01231144067-17 განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან **შპს „თბილსანტექმონტაჟი”-ს** მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი”-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” ქვეპუნქტის „ა.დ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №53, №01.13.03.010.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, **შპს „თბილსანტექმონტაჟი”-ს** მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5223966 15.12.2020წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების მასალა. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი და ფართი. ნაწილობრივ შეცვლილია კედლების მოპირკეთება. დამატებით მოწყობილია წყალასაწრეტი მილები და კონდიციონერები. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების განივი კვეთი და მდებარეობა. დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები და კოლონები. ნაწილობრივ შეცვლილია კედლების მდებარეობა, რის გამოც შეცვლილია სართულების გაბარიტი და ფართი. შემცირებულია ლიფტის კაბინის გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია სართულების სიმაღლე. შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. +3.00 ნიშნულთან დამატებით მოწყობილია ფილა, რის გამოც დამატებით მოწყობილია სართული. საოფისე ფართებში კარებს მონაცვლებული აქვს ადგილი. სახანძრო სისტემები არ არის სრულად მოწყობილი. დასამთავრებელია სადარბაზოს და დერეფნების მოწყობა. „ლ-ა” ფასადზე: დამატებით მოწყობილია ფანჯრები. +0.00 ნიშნულზე „გ-გ” ღერძის მარჯვენა მხარეს ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარი და გაზრდილია კიბის გაბარიტი. „ბ-ა” მონაკვეთში შეცვლილია კარის ტიპი და გაზრდილია მისი გაბარიტი. „ი-თ” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბე და კარი. +6.50 ნიშნულიდან ზემოთ „გ-გ” ღერძის მარჯვენა მხარეს კედლის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „ა-ლ” ფასადზე: +0.00 ნიშნულზე „დ-ზ” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სამშენებლო კარი. +13.10 ნიშნულზე „7-7” ღერძის გარეთ „გ-ე” მონაკვეთში შენობის გარე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი „7-7” ღერძისკენ და გაუქმებულია ტექნიკური აივნის კედელი, რის გამოც შემცირებულია საოფისე ფართი და მოწყობილია აივანი. მონოლითურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის კოლონები. +6.90

ნიშნულიდან +16.20 ნიშნულამდე „1-1" და „ი-ი" ღერძებთან დამატებით მოწყობილია კედლები, რის გამოც საზაფხულო ფართი მოწყობილია საოფისე ფართად. ტერიტორია კეთილმოუწყობელია. ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი ავტოფარეხები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. **შპს „თბილსანტექმონტაჟი"** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №53, №01.13.03.010.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური შენობა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისთვის;

2. **შპს „თბილსანტექმონტაჟი"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შპს „თბილსანტექმონტაჟი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

საქმიანობის კოდექსი”-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

მამუკა ჯაყელი